ცხადდება კონკურსი
თსუ-ს ბაკალავრიატის საფეხურის მერვე სემესტრის სტუდენტებისთვის
კორეის უნივერსიტეტში (კორეა) სამაგისტრო საფეხურის სტიპენდიების მოსაპოვებლად!

ცხადდება წინასწარი შერჩევა კორეის უნივერსიტეტში სრულ სამაგისტრო (ორწლიანი) პროგრამებზე სწავლისათვის განკუთვნილი სტიპენდიების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის მერვე სემესტრის შემდეგი მიმართულების სტუდენტებს: ინფორმაციული ტექნოლოგიები

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების პერიოდი: 05/03/2024 - 13/03/2024

მობილობის პერიოდი: 2024-2025 სასწავლო წლიდან პროგრამის სრული ხანგრძლივობით

პროგრამაზე სასწავლებლად აპლიკანტს მოეთხოვება:
ინგლისური ენის შემთხვევაში: TOEFL (80 iBT), IELTS (5.5 მინიმალური საშუალო ქულა) და TEPS (327) სერტიფიკატი;
კორეული ენის შემთხვევაში: TOPIK (Level 3) სერთიფიკატი;

სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:
- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ან/და მიმღები უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
1. პასპორტის ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
2. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
3. ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
4. მიმდინარე შეფასებების ამონაწერი აპლიკანტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო დისციპლინების მიხედვით, GPA-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია;
5. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირობები იხილეთ ზემოთ);
6. მშობლების პასპორტის ასლები (სკანირებული pdf ვერსია);
7. დაბადების მოწმობის ასლი ინგლისურ ენაზე დამოწმებული ნოტარიულად;
8. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (გაცემული თსუ-ს პროფესორის მიერ, დამოწმებული ხელმოწერითა და ფაკულტეტის ბეჭდით);
9. სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე არაუმეტეს 1 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ.;
10. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა *(გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია*);

გაცვლით პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა სტუდენტებმა უნდა გამოგზავნონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის სრული პაკეტი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: outgoingmobility@tsu.ge 2024 წლის 13 მარტის 14:59 საათისა.

სტიპენდია მოიცავს:
- სწავლის გადასახადს;
- ყოველთვიურ სტიპენდიას (1 500 000 კორეული ვონი);

შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ სარეგისტრაციო მოსაკრებელი (127 000 კორეული ვონი) ყოველთვიური საერთაშორისო დაზღვევის ხარჯები!

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge